შეთანხმება N2

სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასა და სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ გაჭედილის საჯარო სკოლას შორის 2013 წლის 01 თებერვალს „კომპიუტერთან დაკავშირებული მომსახურებების“ შესახებ გაფორმებულ N2 ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ

ქ. თბილისი 15.11.2013 წ.

ერთი მხრივ, სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა, წარმოდგენილი უფროსის - ლაშა ვერულავას სახით და მეორე მხრივ, სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ გაჭედილის საჯარო სკოლა, წარმოდგენილი მისი დირექტორის - ---------- სახით სახით, მხარეებს შორის 2013 წლის 01 თებერვალს გაფორმებული N2 ხელშეკრულების მე-6 მუხლის პირველი პუნქტის 1.2 ქვეპუნქტისა და მე-2 პუნქტის, ქალაქ მარტვილის საგანმანათლებლო რესურსცენტრის 2013 წლის 15 ნოემბრის მომართვის (სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის რეგისტრაციის N MES 113 00539371; 15.11.2013) შესაბამისად ვთანხმდებით შემდეგზე:

1. შეწყდეს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასა და სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ გაჭედილის საჯარო სკოლას შორის 2013 წლის 01 თებერვალს გაფორმებული N2 ხელშეკრულება.
2. 2013 წლის 01 თებერვლის N2 ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის „დამკვეთს“ გააჩნია „შემსრულებლის“ წინაშე მომსახურების შესყიდვის დავალიანება 470.48 (ოთხასსამოცდაათი ლარი და ორმოცდარვა თეთრი) ლარის ოდენობით.
3. შეთანხმება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითო ეგზემპლარი გადაეცემა სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასა და სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ გაჭედილის საჯარო სკოლას.

მხარეები:

სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა

უფროსი

ლაშა ვერულავა _____ ბ.ა.

სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ გაჭედილის საჯარო სკოლა

დირექტორი

_____ ბ.ა.